ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაური

**რედაქცია:** სოლოლაკზე, სერგეევის ქუჩაზე, Ив. ამირალოვის სახლში, № 8.

**კანტორა რედაქციისა:** სერგეევის ქუჩაზე, Ив. ამირალოვის სახლებში, № 8.

**ხელის-მოწერა** მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

**ფასი განცხადებისა:** [illegible]ებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**ლონდონი**, 3, მაისს. გუშინ დიდი გროვა მუშებისა რომელთაც მუშაობას თავი დაანებეს, დადიოდნენ ქუჩაში, დაამტვრიეს წისქვილების ფანჯრები და დაანგრიეს თავიანთი ალის ბორნბის სახლი; თვითონ ბორნბი ქვით დასჭრეს; ჯაკსონის სახლს ცეცხლი წაუკიდეს და დაანგრიეს. მთავრობის განკარგულებით, აჯანყებული მუშების დასამშვიდებლად მოვიდა ქვეითა და ცხენოსანი ჯარი. არეულობა ჯერ კიდევ არ დაწყნარებულა.

—

**სტამბოლი**, 4 მაისს. „Politische Correspondenz"-ში იწერებიან: ლობანოვ-როსტოვსკიმ ნახა ოსმალოს უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრი და შემდეგ სანსტეფანოში წავიდა, სადაც დიდხანს ილაპარაკა ტოტლებენთან. რუსები დაბანაკდნენ ერთი მილის სიშორეზედ სანსტეფანოდამ სტამბოლის მხრით.

**პესტი**, 4 მაისს. ტისსამ სთქვა დეპუტატების პალატაში, რომ ბალკანის ქრისტიანების საქმე მთელს ევროპას შეეხებათ და ამიტომ კონგრესმა უნდა გადაწყვიტოს ისა.

**ლონდონი**, 4 მაისს. კროსმა გამოაცხადა საზოგადოებათა პალატაში, რომ ლანკასტერის მუშების დასამშვიდებლად სამხედრო ძალა არ მოხმარებულა, რადგან საჭირო არ იყოვო; ამ ჟამად კი იქ სრული მშვიდობიანობა ჰსუფევსო.

## საქართველო

### დღიური

*** თითქმის მუდამ დღე ყველაფერი თან-და-თან მატულობს ფასს ჩვენს ქალაქში. განსაკუთრებით პურისა და ხორაგეულის გაძვირება აწუხებს ღარიბ ხალხსა. პირველი ღირსების პური, რომელიც ადრე გირვანქა შაურად იყიდებოდა, ახლა ექვს კაპეიკ ნახევრად ისყიდება; შავს პურს შაურ ნაკლებ აღარ ჰყიდიან.

ამის გამო მუშა ხალხიც გაძვირდა ქალაქში: დღეში უბრალო მუშა თოთხმეტ შაურ-ოთხაბაზ ნაკლებ აღარ დგებიან, ანუ უკეთ ვთქვათ, ველარ დგებიან.

*** სიძვირე და ავაზაკობა, როგორც მოგეხსენებათ, ძალიან ახლოს არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი; ამის გამო ავაზაკობაც თან-და-თან ხშირდება ქალაქში. სხვათა შორის, ამ დღეებში ერთი ვიღაც იმერელი მოუკლავთ ქუკიის ყავახანაში. ამბობენ, ცამეტ ალაგას აქვს ხანჯალი დაკრულიო.

*** ამ კვირაში ხშირი წვიმებისაგან ორი უბედურება მოხდა ქალაქში: გუშინწინ, 4 მაისს, ქუკიაში ერთი ყავრული ჩამოწვა, მზარეული მოჰყოლია ქვეშ და, როგორც გვითხრეს, ჰკუაზე შესცდაო.

მეორე ამგვარივე უბედურება საპიორის ქუჩაზე მოხდა, სადაც ერთი ძველი სახლი დაიქცა და შიგ ორი კაცი მოჰყვა; ამათგან, ამბობენ, ერთი მოკვდა და მეორე კი ძლიერ ავათ არისო.

*** გაზეთის „ობზორის" ახალციხელი კორრესპონდენტი გვაცნობებს, რომ გასულ 29 აპრილს იქ მიუყვანიათ აჭარის შერიფ-ბეგი ხიმშიაშვილი, რომელმანც ამ ომის განმავალობაში დიდი შემწეობა აღმოუჩინა რუსის მთავრობას; იმის ცოლშვილი კი ამ ჟამად არტაანში არისო.

*** გაზეთს „კავკაზში" დაბეჭდილი განცხადება გვატყობინებს, რომ შავს ზღვაზე ხელ-ახლად იწყება სავაჭრო ხომალდების მოგზაურობა. პირველი ხომალდი „ელბრუსი" 7-ს მაისს გამოვა ოდესიდამ და 12-ს ფოთში მოვაო.

*** რამდენიმე მუშა, რომელთაც უფ. გაბრიელ მინაიჩ მირზოევის ქარხანაში უმუშავნიათ, სჩივიან, რომ ჯამაგირს არ გვაძლევენო. ამას გარდა მკითხველს წაეკითხოს იქნება ის შესაძრწუნებელი ამბავი, რომელიც ამას წინათ გაზეთს „კავკაზში" იყო დაბეჭდილი და რომელიც გვაცნობებდა, რომ ამავე მირზოევს მოსკოვიდამ დაებარაბინა თავის ფაბრიკისათვის მუშა-ქალები, შემდეგ არ მოსწონებოდა, გაეყარა და ულუკმო-პუროთ დარჩენილები, მათხოვრობდნენ, ერთი ამათგანი კინაღამ საროსკიპოში მოხვდა...

ამას სჩადის ის მირზოევი, რომელმაც ამ დღეებში „ობზორის" რედაქცია დაარწმუნა, რომ ქარხანიდამ არაფერი მოგება არა მაქვსო, მხოლოთ მუშებისთვის ვზრუნავო, ქარხანისათვის მომზადებული შემა რომ გამეყიდნა, უკანასკნელ თორმეტ ათს თუმანს ფულს მოვიგებდიო და სხვ.

*** გორიდამ გვწერენ, რომ იქაურ რკინის გზის სტანციაზე საშინელი უწესოება არის თურმე საქონლის გაგზავნის დროს.. საქონლის მისაღებად და ასაწონად დანიშნული პირს სანამ ქრთამს არ მისცემს, მანამ ზედაც არ შემოგხედავსო და თუ ქრთამი მიეცი, სხვების, ადრე მოტანილ საქონელს, დააგდებს და შენსას გაგზავნისო. ამ უწესობისაგან განსაკუთრებით წვრილი ვაჭრები და გლეხები არიან თურმე ერთობ შეწუხებულნი.

*** ჩვენ გვითხრეს, რომ ერთ ახალგაზდა ქართველს დაუწერია ისტორიული დრამმა საქართველოს მეთექვსმეტე საუკუნის ცხოვრებიდამ, სახელად „მ ე თ ე ვ ა ნ ი", აბეჭდინებს და ამ მოკლე ხანში გამოვა კიდეცაო.

## „დროების" კორრესპონდენცია

### ა ქ ა-ი ქ მ ო ნ ა გ რ ო ვ ი

**ახალ-სენაკი**, 30 აპრილს. მე ჩემის თანამომგზავრებით ქუთაისიდგან ორთქლით მატარებელმა (ეტლმა) ჩამომაქროლა აქ ახალ-სენაკს. გაჩერდა თუ არა ეტლი, ყველა კარებიდგან შემოცვივდნენ პატარა ბიჭები და, ჩვენდა უკითხავად, დაატანეს ხელი ჩვენს ბარგს.

— სად მიგაქვსთ? ვკითხე მე.

— ბარეთ გავიტანთ, პატრონი. მეც მათ დავეთანხმე. ბარგი გაალაგეს და ერთ ალაგზე დააწყეს. მე ჩემს ნაცნობებს, რომელნიც აქ დამხვდნენ, ორიოდე სიტყვა უთხარი მერე მოუბრუნდი ჩემს ბარგს და მგზავრებს, რომლებსაც გუზებივით შემოხვეოდნენ ნაბდიანი და უნაბდო სოფლის ბიჭები და, ეუბნებოდნენ: „მე წავიღებ, პარტონი, ბარგის!" მე ვიკითხე სასტუმროს ბიჭი, რომელიც უცფათ გამოჩნდა და მას ჩავაბარე ბარგი. უთხარი: ეს ბარგი წამოაღებინე და მეც შენთან მოვდივარ-მეთქი. სამმა კაცმა აიკიდა ბარგი და თვალის დახამხამებამდის მოგვშორდა. მე გაუძეხ ჩემს მგზავრობაში ამხანაგებს და წავედით სასტუმროში.

ღამე იყო ერთობ ბნელი. მე ვიცოდი, რომ გზაზე გვქონდა გასასვლელი ერთი თხრილი, რომელზედაც „ბეწვის ხიდია გადებული."

ამ ხიდზე, ღამით კი არა, დღისითაც სჭირს გასვლა. მაგრამ პოლიციას ჯერ ყურადღება არ მიუქცევია, რადგან ამ „ომიანობის" დროში მოცლა არა აქვს.

ჩემი ამხანაგები, რომლებთაც არ იცოდნენ თხრილი და იმის თვისება, გავაფრთხილე; მაგრამ მაინც ერთი იმათგანი ჩაბრძანდა თხრილში და ფეხიც იტკინა. მე არაფერი! მგზავრის ფეხი პოლიციას რათ შეეწყალება.

ბოლოს როგორც იყო, ერთის ვაივაგლახით ამ სიბნელეში მივაგენით სასტუმროს კარებს. სასტუმროში 2 მანეთად დავიქირავე ერთი ოთახი; მოვიძებნე ჩემი ბარგი, მაგრამ სრულიად მე ის ვერ ვნახე: ერთი შეკვრა ბარგი ოცდა ათი მანეთის ღირებული, არსად იყო. ვეძიე იქით-აქით, ვჰკითხე მომტანს, მაგრამ ვერა გავიგე-რა,—ისე დაიკარგა. რადგან აქ მისი მოძებნა ძნელი იყო და არ ღირდა, თავი მივანებე.

დავწექი, მაგრამ სულ დაკარგული ბარგი მელანდებოდა; გათენებისას კი სასიამოვნო სიზმარი ვნახე: ვითომ მივედით ეტლით სენაკს; ვაგონში შემოვიდნენ, როგორც სხვა ქვეყნებში ისე მოსამსახურეები, რომლებთაც საკუთარი ნიშნები აქვსთ მიკრული, და ჩაიბარეს ჩემი ბარგი. მე გამოვედი ვაგონიდგან მაგრამ არც ერთი ნაბდიანი სოფლის ბიჭები და უბრალო მუშა არა სჩანან; ბაზრამდის ფანრებით გზა განათლებულია; თხრილზე კარგი და განიერი ხიდი გაუდვიათ. კმაყოფილებით მიველ სასტუმროში, ჩემი ბარგი აქ მივატანინე სრულად...

ამ დროს გამომეღვიძა, მაგრამ ჩემი ბარგი კიდევ არ იყო. წაველ სტანციისკენ, არც ფარნებია, არც ხიდი გაუკეთებიათ... ისევ ნაბდიანი და უნაბდო სოფლის ბიჭები უყარაულებენ შოთიდგან მომავალს ეტლს, რომ დღესაც ხელები გაითბონ...

ღმერთო, ამისრულე ჩემი სიზმარი!

**ოქუმი.** ეხლანდელი ომის დაწყებამდის ოქუმი იყო ერთობ მივარდნილი და შეუმჩნეველი დაბა. ორი-სამი დუქანი, სასოფლო შკოლა, ადგილობითი ნაჩალნიკის და ბლაღოჩინის სადგომები და ერთი პატარა საყდარი, რომელშიაც ეს მესამე წელიწადია ყოველთვის წვიმა ჩამოდიოდა,—შეადგენდნენ ოქუმს, იმის ბედნიერებას და დიდებას.

დღეს ოქუმი სულ სხვაა. ზაიმართა ომი თუ არა, ოქუმი შეიქმნა უმთავრესი ბანაკი აფხაზეთში დაყენებულის რუსის ჯარისა. აქ გამართეს ფოშტა, ტელეგრაფის სტანცია, აფთიექი; იმ ორიოდე დუქნებს, რომელნიც აქ იდგნენ, მიუმატეს კიდევ ორიოდე სხვა; საყდარი აქ დაბარგებული ჯარის საშუალებით დახურეს და სხვა-და-სხვა საჭირო ნივთებით შეამკეს. აქაურს საყდარში ეხლა ნახავთ იმ ნაირ წყობილებას და წირვა-ლოცვას, როგორიც დიდ ქალაქების სობოროებშია.

შკოლა კი, სამწუხაროდ, დაუკეტნიათ. შკოლის სახლში საავათმყოფოა გამართული.

ეხლა ეს დაბა თუმცა ასეთია, მაგრამ აქ ცხოვრება ძრიელ სჭირს. როგორც გარეშე ქვეყნიდგან მოტანილი სურსათი, ისე აქაური ნაწარმოებიც, ერთობ ძვირია: ერთი გირვანქა შაქარი 25 კაპ., პური 12 კ., ხორცი 10 კ., ფუთი სიმინდი 45 კ., ყველი, რომელიც ომის დაწყებამდის 5 კ. ისყიდებოდა, ახლა 30 კ., გოჭი 2 მანეთი, ერთი ბოთლი რძე 25 კ., გირვანქა ნავთი 30 კ.

ქუთაისელი

# ომის ამბები

## ომისთვის მზადება

როგორც ერთი უცხო ქვეყნის გაზეთი გვაცნობებს, ინგლისის მოთხოვნილება მდგომარეობს შემდეგში:

რუსეთმა უეჭველად მთელი მორიგების პირობა სან-სტეფანოსი უნდა წარუდგინოს ევროპის უმთავრეს სახელმწიფოთაგან შემდგარ კონფერენციას;

რუსეთმა უნდა აიღოს ხელი ბათუმზედ და აგრეთვე ომის ხარჯის (კონტრიბუციის) მოთხოვნაზედ;

ახალი ბოლგარიის სამზღვარი მხოლოდ ბალკანის მთებამდინ უნდა იქნეს; ის უნდა იყოს იმ სახელმწიფოების მფარველობის ქვეშ, რომელთაც 1856 წლის პარიჟის ტრაქტატს მოაწერეს ხელი, და უკანასკნელი

რუსეთმა ხელი უნდა აიღოს ბესსარაბიის შეძენაზედ.

თუ ყველა ეს მართალი, ომი არ აგვცილდება, რადგან, უეჭველია, რომ რუსეთი ამგვარ პირობებზე ვერ დათანხმდება.

—

ვენის გაზეთს „პოლიტიკურ კორრესპონდენციაში“ იწერებიან:

„სპარსეთსა და რუსეთს, როგორც ნამდვილად გავიგე, პირობა შეუკრავთ ერთმანეთში, რომლის ძალითაც, თუ ომი ატყდა, სპარსეთი ვალდებულია, რომ 40,000 კაცი ათხოვოს რუსეთს. რუსეთმა იკისრა ამ ჯარის გაწრთვნა და ამისთვის თავის აფიცრები გაგზავნა სპარსეთში; გაგზავნა აგრეთვე 25,000 ახალი

# ფელეტონი

## ჩემი ცოლი

(მოთხრობა თფილისის ცხოვრებიდგან)

ჩემისთანა ბედნიერი ქვეყანაზედ კაცი სხვა არ იქნება. რა ტკბილათ ვცხოვრობთ მე და ჩემი ცოლი!... მე ის მიყვარს, პატივსა ვცემ!... იმასაც უყვარვარ!..

მართლაც რომ ვსთქვა, ღირსნიც კი ვართ ჩვენ ურთიერთის სიყვარულისა,—ჩვენ ისე პატიოსნურად ვართ ერთმანერთან! ისე ზრდილობიანათ!... ისე ჰკუიანათ ვექცევით ერთმანერთს!... პირველი, რომ ჩვენ არას დროს ერთმანერთთან არ ვჭინჭყლობთ. როდესაც დავატყობ, რომ ეს არის ლაპარაკი უნდა მომივიდეს ჩემ ცოლთან, მივდივარ სახლიდგან მეგობრებთან ბანქოს სათამაშოთ; როდესაც ჩემი ცოლი დაატყობს, რომ თავის ბუნებითი სიანჩხლე ერევა, მაშინ ის საჩქაროთ მიდის თამამშოვის ქარვასლაში სავაჭროთ,—ასე ვიცილებთ ერთმანერთთან უსიამოვნებას და წყენას...

მერმე უნდა გვნახოს კაცმა, როდესაც დავბრუნდებით სახლში: ვსხედვართ ერთათ დივანზედ წყნარად, ჩუმად, გულკეთილად, როგორც მტრედები თავიანთ საბუდარზე! უთუოდ იფიქრებს კაცი, ესენი სიცოცხლეშივე სამოთხეში არიანო!

თითქმის ოცი წელიწადია, რაც ჩვენ ამისთანა ბედნიერ ცხოვრებით ვტკბებით!...

ამ უკანასკნელ წელიწადებში ჩემი საყვარელი ცოლი საშინლად გასუქდა და დარგვალდა ბედნიერი ცხოვრებით; არც არა მე მაკლია ხორცი, მაგრამ ჩემი ცოლისთანა ვერა ვარ. ჩვენ ყოველისფერში ვგევართ ერთმანერთს: ერთნაირათ ვფიქრობთ, ერთნაირათ ვსვამთ, ერთნაირათ გვიყვარს, ერთნაირათ გვძინავს, სულ ერთნაირათ;—მხოლოთ სიმსუქნეში კი ვერჩევით. არ ვიცი კი რატომ; იქნება იმისაგან, რომ ყოველ ღამეს ვსტეხ ბანქოს თამაშობით, ჩემ ცოლს კი დღეში თხუთმეტი საათი სძინავს. ამბობენ, რომ ჯავრი ახმობს კაცსო. იქნება მართალიც არის, თუ არა და სხვა რა მიზეზი უნდა იყოს ჩემ თავზე.

მე ერთი ჯავრი მაწუხებს, რომელსაც ჩემ ცოლს ვერ ვუმხელ: მე მიყვარს შლაპკიანი ქალები, ჩემს ცოლს კი ქართულად აქვს თავი მორთული. მწყინს ეს მიტომ უფრო, რომ, როდესაც ყელში მინდა ვაკოცო, არ შემიძლიან—დაფარული აქვს ლეჩაქით და თავსაფარით, — ყელისთანა კი არაფერი არა აქვს-რა ჩემ ცოლს!...

სიმსუქნე არ უხდება ჩემ ცოლს, ცოტა აწუხებს: რომ უნდოდეს ნელა, დარბაისლურათ დაიაროს, როდესაც ის მოაწმინდიდან თამამშოვის ქარვასლაში მიდის, სიმსუქნე ძალიან მიარბენინებს, და ისე მიგორავს ამ დაღმართზედ ბურთივით, ცხენით უნდა გამოუდგეს კაცი, რომ დაეწიოს. როდესაც ქარვასლიდგან დაბრუნდება, მაშინ კი ერთი უბედურებაა იმის მოსვლა: ერთი ისეთი ვიშით, ხვნეშით ამოცოცავს, რომ შეგეცოდებათ.

მაგრამ ის მაინც ბედნიერია... ნეტავი ჩემი ძროხაც, რომელიც ქრთამათ მომიყვანეს მასავით ბედნიერი ყოფილიყოს, იქნება ისე გასუქებულიყო, თუ არა ლამის კარგათ ვერ გავყიდოთ.

სწორეთ გითხრათ, ძალიან ბედნიერი ვარ, როდესაც ვუყურებ ხოლმე ჩემს სუქანს ცოლს. მაგრამ ეს კი არის, რომ ჩვენ ერთმანერთს სახლში ძალიან იშვიათათ ვხედავთ. მე დილაობით უპრავლენიაში მივდივარ, მერე ოთხ საათზე მოვალ სახლში, სადილს ვჭამ და დავიძინებ; საღამოს მივდივარ ხოლმე მეგობრებთან ბანქოს სათამაშოთ, გათენებისას მოვდივარ სახლში, როდესაც ჩემი ცოლი ბედნიერ განსვენებაშია. ჩემი ცოლი დილით ქარვასლაში მიდის, საღამოს—სტუმრათ. ახილწლის საღამოს შესრულდება თითქმის ცხრა წელიწადი და ჩვენ ამოდენა ხანში თით-

სისტემის თოფი ამ ჯარისათვის დასარიგებელად.“

—

ამავე გაზეთში მოყვანილია შემდეგი დეპეშა 28 აპრილს სტამბოლიდამ მიღებული:

„დიდს მზადებაში არიან ამ ჟამად აქ. მუდამ დღე ახალ ჯარებს აგროვებენ და ავარჯიშებენ. გუშინ ხონთქარმა დახედა სტამბოლის დასაცველად დანიშნული ჯარები და, როგორც ამბობენ, ყველა იქ დამსწრე სამხედრო კაცები დარწმუნდნენო, რომ ამ ჯარებს კარგათ შეუძლიანთ სტამბოლის სიმაგრეების დაცვა და მტრის შეჩერებაო.“

—

რუსულ სამხედრო ოფიციალურ გაზეთს „რუსის ინვალიდში“ დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამმა 27 აპრილს ტფილისიდამ გაგზავნილი ღენ.-ადიუტ.თ.სვიატოპოლკ-მირსკისაგან:

„ღენერალი კომაროვი იწერება, რომ ლაზისტანში სრული მშვიდობიანობა ჰსუფევს. ოსმალოს გარნიზონი ართვინში, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებისაგან არის შემდგარი, თან-და-თან მცირდება ასე, რომ ახლა სულ 400 კაცია.

„ყოველ მხრიდამ მოდიან ღენ. კომაროვთან დეპუტაციები, რომელნიც დიდ კმაყოფილებას აცხადებენ რუსეთთან შეერთებისათვის. ტყუილია, ვითომც ხალხს არ ჰსურს რუსეთთან შეერთებაო; ხალხი მშვიდობიანად, უშფოთველად ცხოვრებს, მუშაობა და ვაჭრობა დაიწყეს. სრული დანდობა აქვთ ჩვენი. ყველაფერი იაფდება“.

—

გაზ. „Indep. Belge“-ში ვკითხულობთ შემდეგს პეტერბურღიდამ მიღებულ ამბავს:

„იმპერატორმა გამოსცა ბრძანება, რომლის ძალითაც მოხმობილნი არიან 400 ათასი რეზერვის ჯარები.

„ყველანი დარწმუნებულნი არიან აქ, რომ ინგლისთან ომი აუცილებელიაო და ამის გამო ამ ახლად მოგროვილ ჯარს ევროპის ბრძოლის ველზე გაგზავნიან.

„იმპერატორმა შეადგინა ესრედ-წოდებული სამხედრო კომისია, რომლის მოვალეობა იქნება, რომ ზემოხსენებული რეზერვის ჯარები მოაგროვოს და დაამზადოს როგორც თვითონ რუსეთში, აგრეთვე სამზღვარ გარეთ სამსახურისათვის. ერთის სიტყვით, რუსეთს განზრახვა აქვს, რაც კი შეუძლიან მომეტებული ხალხი გამოიყვანოს ბრძოლის ველზედ და დაუყენოს მტერს წინ.“

—

არზრუმში დაყენებულის ჯარების—საღანლუღის ატრიადის—უფროსად ღენ.-ლეიტ. თ. ზაქარია ჭავჭავაძე არის დანიშნული.

—

პეტერბურღის გაზეთები გვაცნობებენ, რომ ღენ. ტერ-ღუკასოვი ამჟამად პეტერბურღში იმყოფებაო.

# უცხო ქვეყნები

## საფრანგეთი

ყველაგვარი პოლიტიკური საქმეები დაივიწყეს ამჟამად ფრანცუზებმა; არავის აღარ ახსოვს არც ოსმალეთი, არც ინგლისსა და რუსეთს შუა ატეხილი უკმაყოფილება და ომის მოლოდინი; ყველას ყურადღება მოქცეულია პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ.

და მართლაც ეს საგანი ღირსია არა-თუ მარტო ფრანცუზების, მთელი ქვეყნის ყურადღებისა.

უცხო ქვეყნის გაზეთებში დაწვრილებით არის აწერილი ამ გამოფენის გახსნა და ის დღესასწაული, რომელიც გადაუხდიათ პარიჟელებს ამ დღეს, ე. ი პირველ მაისს. გამოფენის სანახავათ „Indép. Belge.“-ის პარიჟელი კორრესპონდენტის სიტყვით, ერთ მილიონ ნახევარი ხალხი მისულა იქ სხვა-და-სხვა ქვეყნებიდამ. უეჭველიაო, რომ ყველა ესენი კმაყოფილნი დარჩებიან იმით, რასაც ამ გამოფენაზედ ნახავენო.

გამოფენის გახსნის დღეს მთელი ქალაქი გაჩირაღდნებული ყოფილა; განსაკუთრებით დიდ ბულვარების სახლები, მაღაზიები და თეატრები რაღაც თვალთმაქც სურათს წარმოადგენდნენო—ისეთ ნაირად იყვნენ გაბრწყინებული გაზითა და ფერად-ფერად ფარნებითაო. სახლის თავებზე, ფანჯრებში და მაღაზიებში გაკეთებული იყო თურმე ტრანსპარანტები, რომელზედაც ეწერა: „გაუმარჯოს რესპუბლიკას!“ „გაუმარჯოს საფრანგეთს!“ „გაუმარჯოს პარიჟს!“ და სხვ. და სხვ.

ქუჩებში, ბულვარზე და საზოგადოთ მთელს პარიჟში ისეთი მოძრაობა, ისეთი მხიარულება იყო თურმე, რომლის მსგავსი გერმანიასთან ომის (1870 წ.) შემდეგ არ ყოფილა.

ღირსიც არის გამოფენა ამ გვარი მხიარულებისა, რადგან გამოფენას ტყუ-

---

ქმის ერთხელაც რიგიანათ არ გვილაპარაკნია ერთად...

ერთ დილას ხალათ ჩაცმული და ფოსტლებით გავდივარ ჩემ ცოლთან და ვეუბნები:

— სალომე-ჯან! დღეს მე მინდა რიგიანათ მოგველაპარაკო იმ საქმეზედ, გახსოვს? რომელიც მე და შენ დავიწყეთ კვირაცხოვლის კვირაში.

ის მისვავს წვერზედ თავის ფაფუკ ხელს და ალერსით მიპასუხებს:

— ჰო, ალექსანდრე-ჯან, გენაცვალოს შენი სალომე, უნდა უთუოთ, მოვილაპარაკოთ ამ საქმეზედ. ამასთანავე მე დღეს თავისუფალი ვარ. მარამ რომ შენ ჯერ პირი უნდა მოგეპარსნა?

მე ვჯდები პირის მოსაპარსავათ და მინამ მოვიპარსავ, ის გადის სახლიდგან,—უყურებ: სადღა არის! ვფიქრობ უთუოთ გაგორდა ქარვასლისაკენ ჩემი მსუქანი, საყვარელი სალომე. მე იმას ველარ მოვეწევი! თუ არ გჯერათ, ახლავე დაგიმტკიცებთ: ჩავიცვამ პალტოს, კალოშებს, დავიჭერ იღლიაში ქოლგას და პირდაპირ თამამშოვის ქარვასლიაში, წავალ და უთუოთ გიპოვნით იქ სალომეს. ის უთუოთ ქარვასლის მეორე ეტაჟში იქნება, სადაც ფარჩეულობა იყიდება.

მიყურეთ; მე ეხლა ვდგევარ ერეკლეს სახლის წინ, სადაც ჩემი სამსახურის ადგილი—უპრავლენია არის. ელვის სისწრაფრით მე გავჩნდები ქარვასლაში. ახლა მხოლოთ საბაზაზოებში შეხედვა მმართებს და დაკვირვებით ყური უგდო ხმებს იქ მყოფთა...

— მობრძანდი, კნიაზო! რა გნებავთ? ბალანცკი პალატნო, სალფეტკები. სკატერტები, პლატოკ, ჩითები, ჩულქი!...

— აქ მობრძანდი, კნიაზო! იაფათ მოგართმევთ!...

—მამაშა, მე მგონია, ეს ძვირი უნდა იყოს...

— ინებეთ, ბატონო! ჩვენ ყოველიფერი გვაქვს, რაც გნებავთ...

— კნიაზო! ჩვენ უფრო კარგი გვაქვს ჩითები, ქსოვილები, შალები, ფრანცუზკიე პლატკი, ლეჩაქი...

— წადი და, ოხერო! შენ სულ დამპალი გაქვს...

— სამი და ათი შაურია, ქალბატონო.

— კარგია, მოსჭერ შვიდემეტი არშინი...

ეჰ, აქ უნდა იყოს უთუოთ ჩემი სალომე!... ის უვაჭროთ არაფეს არ იყიდის და არ გადაყრის ფულს ტყუილუბრალოთ. ჩემი ცოლი ფულს უფრთხილდება!... წავიდეთ იქით...

—კნიაზო, აქ მობრძანდით!.. ლენტი, ბლონდი, არშია, პერჩატკები...

— ვა, რა მშვენიერი თვალები აქვს? ახ, თვალებო, თვალებო... კუშაკი, ბლონდი, ფერჩატკი!... ერთი ფეხებს შეხედე და, ანტიკაა რაღა!... ჩულქი, პერჩატკი, ბლონდი!... მოდი არ გინდა? გავყვეთ!... რა კეკლუცი წელია, ხელში ჩავა! მე გავყვები...

— მობრძანდი აქ, კნიაზო! ჩვენ უფრო კარგი გვაქვს: ქსოვილი, შტოფი!..

— ღმერთმანი, ქალბატონო, ჩესტნი სლოვო, სოვესტით გაძლევთ, გარწმუნებთ, ჩვენ უფრო ძვირათ გვიზის.

— მეტს არ მოგცემთ.

— ინებეთ, რა ვქნა,—ხათრით გაძლევთ, სხვას არ მივცემ.

აბა, აქ ხომ არ არის სალომე; ის ისეთი მაგარი ხასიათისა არის, რასაც იტყვის არ გადასთქვამს. წავიდეთ იქით.

— კნიაზო! გთხოვთ, მობრძანდით ჩვენთან!...

— უკანასკნელი ფასია, ქალბატონო; თქვენ რას უბოძებთ?...

— აქეთ, კნიაზო! ნაცნობები ვართ... მე ვიცი, რასაც ეძებთ. რას ინებებთ? ჩითები, შტოფები, პლატკი ფრანცუზკი... ლენტი, ბლონდი, კრუჟევა, ვუალი, პოდვიაზკები!...

(დასასრული შემდეგ №-ში)

